ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2016 წლის 28 აპრილი

ქ. ამბროლაური

,,ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 210070000.35.172.016068) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. ქალაქ ამბროლაურის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმომქმნელი ორგანიზაციებისა და მეწარმე სუბიექტებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისათვის და გაუვნებლობის მომსახურეობისათვის განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.";

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„5. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება აქვს მოსაკრებლის ამოსაღებად შესაბამის ორგანიზაციასთან და მეწარმე სუბიექტებთან გააფორმოს ხელშეკრულება.";

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე საბანკო ანგარიშსწორების საშუალებით ან/და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად ორგანიზაციასთან და მეწარმე სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ასლან საგანელიძე**
თავმჯდომარე